72
63

ეროვნული
ბიბლიოთეკა




1963 ნოემბერი

# დილა

№11



ნახატი რ. ცუცქირიძისა

პავლე მაკარუშენკო

# კოცონთან

1917 წლის 7 ნოემბერს რუსეთში რევოლუცია მოხდა. ამ დღეს შეიარაღებულმა მუშებმა ჯარისკაცებთან და მეზღვაურებთან ერთად გააძევეს ბურჟუები და ძალაუფლება ხელში აიღეს.

მსოფლიოში საბჭოთა მთავრობის პირველ მეთაურად მათ აირჩიეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი — თავიანთი საუკეთესო მეგობარი და ამხანაგი.

ახალ მთავრობას ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა: ყველაფერს თავიდან იწყებდა, განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა ლენინი, ისე ბევრს, რომ ძილის დროც აღარ რჩებოდა.

ერთხელ, გვიან ღამით, სმოლნის სასახლესთან, რომელშიც საბჭოთა მთავრობა იმყოფებოდა, დამცველი ჯარისკაცები და მუშები კოცონთან თბებოდნენ. კოცონის შუქი ანათებდა იქვე მდგარ ჯავშნოსან ავტომობილებს, ქვემეხებს და ტყვიამფრქვევებს.

სასახლის ფანჯრებში უკვე დიდი ხანია ჩაქრა სინათლეები. მხოლოდ მესამე სართულზე მოჩანდა შუქი. იქ ლენინის სამუშაო ოთახი იყო. პიტერელმა მუშამ ნიკოლოზ ივანოვმა, რომელსაც ტყავის ქურთუკზე ქამრად ტყვიამფრქვევის ლენტები შემოეკრა, თქვა:

— ლენინს ჯერ კიდევ არ სძინავს!..

ყველამ იმ ოთახისაკენ მიიხედა. ლატვიელმა მსროლელმა იანოშ ბრიკშნემ ღიმილით წარმოთქვა:

— ილიჩი დღეს ჩვენს პოლკში სიტყვით გამოვიდა...

კოცონთან ახლოს იჯდა ვლადიმირის გუბერნიიდან ჩამოსული გლეხი სერგეი გუსევი, ქალამნები და შინნაქსოვი ქურთუკი ეცვა, თავზე კურდღლის ტყავის ყურებიანი ქუდი ჩამოეფხატა. მოხუცმა ცეცხლს შეუკეთა და თქვა:

— დღეს მეც მქონდა ბედნიერება, მენახა ჩვენი ძვირფასი ამხანაგი ლენინი. ილიჩმა ხვალ დილისათვის დამიბარა.

— თუ საიდუმლოება არ არის, გვითხარი, რა საქმე გაქვს ლენინთან?—შეეკითხა მუშა ნიკოლოზ ივანოვი.

— არავითარი საიდუმლოება არა მაქვს. ლენინის დეკრეტის თანახმად, ჩვენმა გლეხებმა ბატონს მიწები წაართვეს. მიწები კი გვაქვს ახლა, მაგრამ გაზაფხულისათვის ვერც მოვხნავთ და ვერც დავთესავთ. თესლი არ გაგვაჩნია. ჰოდა, მთელი სოფლის გლეხებმა გამომაგზავნეს; წადი ლენინთან, ის დაგარიგებს როგორ მოვიქცეთო!..

კოცონის გარშემო მყოფნი დუმდნენ. ყველა თავისას ფიქრობდა.

სახელმწიფოში ხომ მართლაც გართულებული იყო მდგომარეობა.

ლენინსაც არ ჰქონდა თადარიგში მარცვლეული და მანქანები. მაინც ყველას სჯეროდა, რომ ილიჩი მონახავდა გამოსავალს...

გრძელულვაშა უკრაინელმა მეტყვიამფრქვევემ სტეფანე გორდიენკომ შენიშნა:

— წუხელ, გათენებამდე ჩემს მეგობართან ერთად ლენინის სამუშაო ოთახს ვდარაჯობდი. თვალები გვეხუჭებოდა ძილისაგან, უცბათ კარი გაიღო და ვლადიმერ ილიას-ძე გამოვიდა. პალტო მოეხურა, ხელში თუნუქის ჩაიდანი ეჭირა.

— დილამშვიდობისა, ამხანაგებო!—მოგვესალმა ილიჩი.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოთ, ამხანაგო ლენინ, —მივუგეთ ერთხმად.

— როგორ გუნებაზე ხართ?

ჩვენ კი ჩვენის მხრით შევეკითხეთ:

— რომელი საათი იქნება?

ლენინმა ამოიღო ჯიბის საათი და გვიპასუხა:

— დილის ექვსი საათია. რა, ცვლას ელით?

— დიახ, დროა...

ილიჩმა ჩაიდო საათი ჯიბეში და ადუღებული წყლისათვის გასწია...

— მოიცა, მოიცა, სტეფანე. შენ ამბობ, რომ ლენინი დილის ექვს საათზე ნახე?—შეეკითხა მუშა ივანოვი.

— დიახ!— მიუგო უკრაინელმა ჯარისკაცმა.

— თქვენ, მოხუცო, ლენინი დღისით ნახეთ?

— დიახ,—მიუგო გუსევმა.

— შენ, იანოშ, ლენინი საღამოს ნახე პოლკში?

— დიახ!—თავს უქნევს ლატვიელი მსროლელი.

— მაშ, როგორც ჩანს, მთელი დღეღამის განმავლობაში ლენინს არ სძინებია!

— ასე გამოდის, — დაეთანხმა ყველა, და ისევ გახედეს სმოლნის ზედა კუთხეში მოკიაფე შუქს.

— მაშ, ლენინს როდისღა სძინავს?—იკითხა პიტერელმა მუშამ. ამ კითხვაზე ვერავინ გასცა პასუხი.

ლენინი კი ყოველთვის და ყველგან ბევრს მუშაობდა: ციხეში, ციმბირში, საზღვარგარეთაც და მაშინაც, როცა ტბა რაზლივთან აფარებდა თავს.

განსაკუთრებით ბევრი საქმე ჰქონდა ლენინს, როდესაც იგი საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელი გახდა; დღედაღამე შრომობდა.

ლენინი ბევრს იმიტომ მუშაობდა, რომ მუდამ ზრუნავდა ხალხის ბედნიერებაზე, მათ შორის შენს ბედნიერებაზეც, პატარავ!

თარგმნა რ. ჭიჭინაძემ



# ახალი ყელსახვევი

ამ მოთხრობამ ჟურნალ „დილის" მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და მიიღო მესამე პრემია

შოთა ასანიშვილი

ნახატი ალ. ბანძელაძისა

მაშინ ომი იყო.

ერთ ვაჟა-ბიჭს ჰყავდა პატარა დაიკო თეო. ვაჟა უკვე პიონერი გახდა, თეო კი ჯერ სკოლაშიც არ დადიოდა. ვაჟას ძველი ყელსახვევი ჰქონდა, აბა რა ექნა, ომი იყო და. ვაჟას და თეოს ქალაქში მამიდა ელენე ჰყავდათ. ერთხელ, როცა მამიდა ელენე მათთან სტუმრად ჩავიდა, ვაჟას ახალთახალი წითელი ყელსახვევი ჩაუტანა. ვაჟას ძალიან გაეხარდა, მთელი საღამო ყელსახვევის შეხსნა-შეკვრაში გაატარა, თეო კი გარშემო უვლიდა გახარებულ ძამიკოს.

— თეო, როდის დაღამდება და გათენდება, რომ ახალი ყელსახვევით წავიდე სკოლაში?

— ხვალ გათენდება,—მიუგო თეომ და სიამოვნებით მოჰკიდა ფუნჩულა ხელები ყელსახვევს.

გათენდა თუ არა სანატრელი დილა, ვაჟამ ყელსახვევი წვრილ ყელზე გაიკეთა და გაკვეთილების მომზადებას შეუდგა. ვაჟას სკოლა სულ ახლოს ჰქონდა, იქვე რკინიგზელთა კლუბი იყო. კლუბის ეზოში ბიჭები ბურთს თამაშობდნენ ხოლმე. სკოლას რკინიგზის სადგურიდან მოტანილი ძველი ზარი ჰქონდა. სკოლა პატარა იყო და გაკვეთილები სამ ცვლად ტარდებოდა. ვაჟა მესამე ცვლაში დადიოდა. გაკვეთილების დაწყებამდე იჯდა ვაჟა და საგულდაგულოდ მეცადინეობდა. უნდოდა იმ დღეს განსაკუთრებით გამოეჩინა თავი. თან ყური ზარისაკენ ეჭირა. ყელსახვევით გახარებულს გული სკოლისაკენ მიუწევდა, დრო კი მის ჯიბრზე სულ არ გადიოდა.

სკოლაში წასვლამდე ვაჟამ კლუბის ეზოს მიაშურა. ეზოს მწვანე მოლი ორ ადგილას გადატრუსულიყო. ამას ფეხბურთის კარები ერქვა, აქეთ-იქით მოზრდილი ლოდები დაეწყოთ. ბიჭებმა სულ ერთი წუთით შეავლეს თვალი ვაჟას ყელსახვევს. ალბათ მოეწონათ, ერთმანეთს ჩუმად გადახედეს და გაყოფას შეუდგნენ.

— არჩევანი მე!—დაასწრო ყველას ზურამ.

— არადანი მე!—მიუგო ვაჟამ.

— გიგლა—მე!

— ნიკო—მე!

— სოსო—მე!...

მორჩნენ თუ არა გაყოფას, კარების ქვებთან გაჩნდა ჩანთები, ქამრით შეკრული წიგნები, სხვადასხვა ზომისა თუ ფერის ფეხსაცმელი. ვაჟამაც თავისი ფეხსაცმლები, რომელიც წელს ძლივს უშოვეს, ფრთხილად გაიხადა და ჩანთასთან ერთად ქვის უკან დააწყო.



გავარდა ნაჭრის ბურთი და დაედევნა ოცი შიშველი ფეხი! ომი იყო და, აბა ნამდვილ ბურთს ვინ მისცემდათ. სამაგიეროდ შიშველი ფეხისათვის ნაჭრის ბურთი უკეთესია.

ვაჟა დღეს განსაკუთრებით თამაშობდა. ჩაიგდებდა თუ არა ბურთს, თავქუდმოგლეჯილი მიექანებოდა მოწინააღმდეგის კარისაკენ.

— მომაწოდე ვაჟა, მომაწოდე! — უყვიროდა ნიკო.

— აქეთ ვაჟა, თავისუფალი ვარ!— ეხვეწებოდა თემო.

ვაჟას კი არავისი ესმოდა, ზედიზედ ატყუებდა ბიჭებს და ორი ბურთიც გაიტანა.







დრო-დადრო სკოლისაკენ იხედებოდა,—ზარის ხმა არ გამომეპაროსო. ბურთის თამაშით გატაცებულს ზარის წკრიალი მოესმა. სწრაფად დაავლო ჩანთას ხელი და მოკურცხლა სკოლისაკენ. გზადაგზა ყელსახვევზე იხედებოდა, ხომ არ დამეჭმუჭნა, ან ხომ არ დამელაქაო. სირბილს უმატა, მაგრამ მასწავლებელს მაინც ვერ შეასწრო. სხვა დროს ვაჟას დაგვიანებისა შეეშინდებოდა, დღეს

კი ახალი ყელსახვევი ეკეთა და თამამად მიიჩქაროდა. აირბინა სკოლის კიბე და საკლასო ოთახის კარის ზღურბლზე შეჩერდა აქლოშინებული. სახე ასწითლებოდა. სიხარულს ვერ ჰფარავდა და იღიმებოდა წრფელი, ბავშვური ღიმილით.

მასწავლებელმა ვაჟას ჯერ სახეზე შეხედა, მერე ახალ ყელსახვევს შეავლო თვალი და ბოლოს მის ფეხებს დააშტერდა. მასწავლებელს ღიმილი მოერია. ვაჟას ეგონა, ჩემმა ყელსახვევმა მოხიბლაო და თვითონაც დაკრიჭა მეჩხერი კბილები. მასწავლებელი კი იღიმებოდა და დაჟინებით დასცქეროდა იატაკს. „რატომ ყელსახვევს არ უყურებს, იატაკს რას დასცქერის?“—ფიქრობდა ვაჟა და უნებურად თვითონაც ფეხებთან დაიხედა, მაშინ კი მიხვდა, რომ ფეხშიშველი იდგა საკლასო ოთახის კართან. წაგრძელებულ კისერს კი ახალი წითელი ყელსახვევი უმშვენებდა!

## გულადი

— სულ ტყუილად მიყეფ,
ველარ მიკბენ მურა,
ველარც შემაშინებ, —
მამის ქუდი მხურავს!



ქეთევან გუგუშვილი

ნახატები ვაჟა მელიქიშვილისა



## ციყვი

გრძელი კუდი განა
მიშლის ხეზე ხტომას,
ზამთრისათვის თხილი
შევინახე ბლომად.
მე ზარმაცი არ ვარ,
ძლიერ მიყვარს შრომა.



## მოდით

— გაკეთება სადილის
განა მე არ ვიცი?
დავაჭერი ლობიოს:
ხახვი, კამა, ქინძი.
მერე ვლესე, ვლესე,
კარგად ამოვლესე.
მოდით, ჩქარა, შვილებო,
დავამზადე სადილი! —
ეცინებათ თოჯინებს
დედააო ნამდვილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბელორუსული ჟურნალი ВЯСЁЛКА სტუმრად „დილას" რედაქციაში (7—11 გვერდამდე)

1. „ყვავილები"—ნახატი მე-3 კლასის მოსწავლის ნატაშა გომოლკოსი
2. „ჩვენ მშვიდობა გვინდა" —ნახ. მე-4 კლ. მოსწ. ლიუდა საბლინასი
3. „ბინდდება"—ნახ. 7 წლ. საშა პავლოვიჩისა
4. „კოსმონავტის კაბინაში—ნახ. 9 წლ. ვოვა გრიშანოვიჩისა




2.



### ამ ნახატებით ბელორუსი ბავშვები გილოცავენ შვიდი ნოემბრის დღესასწაულს





4.

ელი ოგნეცვეტი

თარგმანი **მაყვალა მრევლიშვილისა**

# ძილი ნებისა



ძილი სახლში შევიდა
ოქროს ფაჩუჩებითა,
გვითხრა: ღამე ნებისო!
ამ გოგონას პაწიას
დროზე რატომ არ სძინავს,
ნეტავ რაღას ელისო?

„ჩიტმაც თავის ბუდე იცის,
უკვე სძინავთ წიწილებს.
ჯანმრთელი და ყოჩაღია,
ვინც კი დროზე იძინებს."



რა ვქნა! ჩვენი გოგონა
არ იძინებს არაგზით,
თურმე ჯავრი ჰქონია
თავის დედოფალასი.
ხელი დააბანინა
და უმღერა ნანინა!

„შეგიკერავ წინსაფარს
ლამაზ ნაჭრებისაგან.
დაგშვენდება ბაფთები.
ნანა, ჩემო ციცინო,
უნდა ტკბილად იძინო,—
გაიზრდები ჯანმრთელი!"

ახლა დედოფალამაც
გამოიდო თავი და
თქვა:—ძილის დრო სადა მაქვს!—
ბაჭიასთან წავიდა,

ნაზად ჩაუდუდუნა:
— ნანა, ჩემო კუდუნა,
თათმანები გინდა?
კიდევ—თბილი წინდა?
მოგეწონა განა!
აბა, მალე ნანა!

ძილი ჩუმად ბუზღუნებს:
— ერთი ამათ უყურეთ!
ფუსფუსებენ ქალები,
უჭყეტიათ თვალები,
თქვენი ბაიებისგან
ლამის გადავირიო.
აბა, ძილი ნებისა!
ყველას—ტკბილი ძილიო.

დაიძინონ ახლავე,
ლამაზ სიზმრებს ნახავენ.

ნახატები **ა. ბრუბინაისი**






## სკოლაში

მასწავლებელმა ჰკითხა მოსწავლეს:
— რომელია ყველაზე მოკლე თვე?
— მარტი.
— არა, პასუხი სწორი არ არის. თებერვალია ყველაზე მოკლე თვე.
— რატომ თებერვალი? თებერვალში ხომ ორი მარტი ჩაეტევა, მარტს ხუთი ასო აქვს, თებერვალს კი ცხრა! — მიუგო მოსწავლემ.

ნახატები **ა. ვოლქავასი**



## კბილი გტკივა?

ექიმმა პატარა იუზიკოს კბილი ამოაძრო.
— ახლა როგორა ხარ, კბილი აღარ გტკივა?—ჰკითხეს სახლში.
— არ ვიცი!
— როგორ თუ არ იცი?
— როგორ და ისე. მტკივანი კბილი ექიმთან დარჩა!

ნახატი **მ. გურლოსი**

ნახატები **ვ. შვიაცოვასი**

ცუგრიას უკვირს: რით მოსწონს
თავი ძალოსან ბაქიას,
ხედავთ, რა ხერხი ისმარა,



მუქაოს ტვირთი ასწია,
მაგას რა უნდა, მეც ავწევ,
სულ ასი გრამი არც კია!





# თხილამურები

კლავდია კაპიალიანი

ნახატები ა. ლუცევიჩისა

დიდი ქალაქის პატარა შუკაში დგას წითელი აგურის სახლი. ამ სახლში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ პატარა გოგო ნინო და პატარა ბიჭი სენია.

ერთხელ ნინო და სენია ფანჯარასთან ისხდნენ და ეზოს გაჰყურებდნენ. გარეთ ხვავიანად თოვდა. ხეებს უკვე თოვლის ფაფუკი ბოხოხები ჩამოეფხატათ. ფიფქები კი სულ ტრიალებდნენ და ტრიალებდნენ ჰაერში.

— იფ, რა გემრიელი იქნებოდა ახლა სრიალი! — ამოიოხრა ნინომ. მაგრამ აბა, რითი? მას მხოლოდ თხილამურები აქვს და ისიც თასმებაწყვეტილი.

— მე შეგიკეთებ თხილამურებს. ბარემ ჯოხებიც მაქვს და რიგრიგობით ვისრიალოთ ხოლმე, კარგი? — უთხრა სენიამ.

გაიჩარხა საქმე.

ბავშვები სკოლაში სხვადასხვა ცვლაში დაიარებოდნენ; ამიტომ სენია დილაობით დადიოდა სასრიალოდ, ნინო კი — ნასადილევს.

კარგად მიდიოდა მათი საქმე, ვიდრე ზამთრის არდადეგებზე დაითხოვდნენ. ახლა კი ორივეს ერთდროულად მოუნდა თხილამურებით სრიალი. რა ჰქნან? შეკამათდნენ და არც ერთმა არ დაუთმო.

— ჩემია თხილამურები! — გაჯიუტდა ნინო.

— მერე და ვინ შეგიკეთა? ჯოხები ვინგათხოვა? — წააყვედრა სენიამ.

წაძიძგილავდნენ. ბიჭუნამ ისევ aaგლიჯა თასმები, თხილამურები მიუყარა გოგონას, თავისი ჯოხებიც გამოსტაცა და შინ წავიდა. თან მიაძახა:

— წადი ახლა და ისრიალე!

ერთს — თასმააგლეჯილი თხილამურები დარჩა, მეორეს კი — ცარიელი ჯოხები!

დაბრუნდნენ სამუშაოდან მათი დედები. შეხედეს თავ-თავის შვილებს და მაშინვე მიხვდნენ, რაზედაც წაკინკლავებულიყვნენ. ერთის დედამ თხილამურებს დაავლო ხელი, მეორემ — ჯოხებს და აუძახეს სხვენზე.

სხედან ჩვენი გოგო-ბიჭი თავთავის ბინაში. თოვლი კი თითქოს ჯიბრზე, ბარდნის ბარაქიან ფანტელებად!

სენია ჩუმად აძვრა სხვენზე. მიუცუცქდა თხილამურებს და ხელახლა შეუდგა თასმების მიჭედებას. გვარიანადაც შეაკეთა. ბოლოს გაპოხა კიდეც, — კარგად ისრიალონო და კუთხეში მიაყუდა. „წავალ და ვეტყვი ნინოს, რომ პირველმა იმან ისრიალოს, რა დიდი ამბავი მოხდება!“ — გაიფიქრა ბიჭმა, მაგრამ ნინო შინ არ დაუხვდა!

დრო რაღას დავკარგო, მოდი და ჯერ მე ვისრიალებო,—გადაწყვიტა სენიამ და სახლში შებრუნდა ჩასაცმელად. სათხილამუროდ გამოწყობილმა სხვენს რომ მიაშურა, სახტად დარჩა,—თხილამურები აღარსად იყო! აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ამაოდ. „ვის უნდა წაეღო?“ ამ ფიქრით გაუყვა გზას გორაკისაკენ.

უცბად გაიხედა და ნინოს არ მოჰკრა თვალი? ის კუდრაჭა უკვე გორაკს თავზე მოჰქცეოდა თავისი თხილამურებით.

— მე შენ გიჩვენებ სეირს!—გაჯავრდა სენია, მაგრამ გოგონას არც გაუგია მისი მუქარა, ისე მაღლა იყო. მსუბუქად მოსწყდა გორაკს და ნიავქარივით დაეშვა მაღლიდან.

სენიას სუნთქვა შეეკრა, როცა ნინო ტრამპლინზე დაეშვა, მოჰქროდა ჩიტივით, ჩამოუფრინა ბიჭს და ისეთი ლამაზი კამარა შეჰკრა, რომ შენი მოწონებული!

— აი, ყოჩაღ, რა ზორბად გადმოხტა!— დაიძახეს აქეთ-იქიდან მოთხილამურეებმა.

—ნეტავ მეც ვისწავლო ასეთი ხტომა!— გაიფიქრა სენიამ და უკვე გადაავიწყდა თავისი მუქარა. როგორც კი გოგონა შემოტრიალდა მისკენ, რომ თხილამურები მოეძრო, სენიამ უთხრა:





— ნუ იხსნი ფეხიდან, მე არ მეჩქარება. ისრიალე რამდენიც გენებოს. მერე—მე...

ნინომ ჩაიცინა და ისევ გორაკს შეუყვა.



ამ მოთხრობამ ჟურნალ „დილის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და მიიღო მესამე პრემია



# ელექტრონთან

**ქეთევან ჭილაშვილი**

ნახატები **გ. თოთიბაძისა**

დიდედას ნებიერი ბიჭი ვარ! იმიტომ ვეწვიე არდადეგებზე. მეზობელ სოფელში ცხოვრობს. რაღა არ დამახვედრა: ნაზუქი, ქადა, კვერაპური...

სადილად რაღას ინებებო?

— შენს გაკეთებულ მაწვნის შეჭამანდს! — ვაკოცე დიდედას და უბნის ბიჭების სანახავად დავაპირე გასვლა.

— გენაცვალოს დიდედა, ელექტრონის ქურა გამიფუჭდა, ბარემ გააკეთე, რომ სადილიც დროზე მოგვესწროს! — მიბრუნდა დიდედა და სამზარეულოდან ქურა გამოიტანა.

სახტად დავრჩი! როგორ მეთქვა, რომ ამ საქმის არაფერი გამეგებოდა? მაინც რა ეშმაკმა მომანდომა მაწვნის შეჭამანდი?

— დიდედ, თუ გინდა ნუ გააკეთებ მაწვნის შეჭამანდს, დაიღლები...— ვცადე გაჭირვებიდან თავის დახსნა.

— შეჭამანდის გაკეთებას რა უნდა, შვილო? — დამამშვიდა დიდედამ და ბოსტანში ჩავიდა.



ვიჯექი დაძმარებული და დავცქეროდი ქურას. ვერაფერს ვამჩნევდი გაფუჭებულს. აქეთ ვატრიალე, იქით ვატრიალე... უცებ შევამჩნიე მომჭერები, (ეს სახელი მერე გურამისაგან გავიგე) მოლაღებული ჰქონდა. ავდექი და დანის წვერით დამაგრება დავუწყე. მოვუჭირე, მოეშვა; მოვუჭირე—მოეშვა; დაბლა დერეფანში წმინდა მავთულები მეგულებოდა, ხელად ამოვარბენინე და ისე მაგრად შევკარი, რომ თქვენი მოწონებული! გულზე მომეშვა. რა კარგია როცა ვინმე რამეს დაგავალებს და შეუსრულებ!

ქურა სამზარეულოში გავიტანე და ჩავრთე.

—ტკაც!—გაწკაპუნდა იქვე და იელვეს ნაპერწკლებმა.

— მგონი სინათლე გადაიწვა!—მივვარდი ჩამრთველს და რამდენიმეჯერ გადავატრიალე.

— გააკეთე შვილო?—ამობრუნდა დიდედა ბოსტნიდან, თან მწვანილის კონა ამოიყოლა.

— გავაკეთე, მაგრამ დენი არ არის—მომადგა პირზე უნებურად.

—დამცველები მოეშვებოდა, ეგრე იცის. აბა, ერთი ნახე... რაც პაპაშენი აღარ არის, ვინ არის მაგის პატრონი.

ცოტა არ იყოს გული მომივიდა. ამ დიდედაჩემს მონტიორი ხომ არა ვგონივარ? საიდან უნდა ვიცოდე, რატომ არ ფიქრობს ნეტავი? „ძალა აღმართს ხნავსო“; დამცველებთან მივიდგი სკამი, ზედ შევდექი და გამოცდილი ოსტატივით დავუწყე ჩხიკინი.

ხელი შევახე და სინათლე აინთო!

— მამაშენივით ოქროს ხელები გაქვს, გენაცვალოს დიდედა,—მომეფერა დიდედა, რა იცოდა, რომ ქურა ისევ გასაკეთებელი იყო... როგორ მომიხაროდა და სულ ამომშხამდა!

ბედზე, გურამს გაეგო ჩემი ჩამოსვლა და მომაკითხა.

— შენც ქურას უკირკიტებ?.. ეს-ეს არის, მეც შევაკეთე ჩვენი...—მითხრა გურამმა და ერთმანეთი გადავკოცნეთ.

—იცი გაკეთება?—მე ჩემი დარდი მაწუხებდა.

— მაგის გაკეთებას რა უნდა,—ისე იოლად ჩაიქნია ხელი გურამმა, რომ შემშურდა.

— ეს რა გიქნია, აჩიკო!—შემომხედა გაოცებით და მომჭერებზე დახლართულ მავთულს შეხსნა დაუწყო.

— რა მიქნია? მოლაღებული იყო და დავამაგრე.

—ეს ხომ მოკლედ ჩაგირთავს?

— მოკლედ არა სჯობია?—იხტიბარი არ გავიტეხე.

—ხომ გადაიწვა ყველაფერი!—გაოცებით შემომხედა, ეგ როგორ არ იციო.

—გადავწვი და გავაკეთე კიდეც!

—მა რა იქნებოდა!

გურამი მაგიდას მიუჯდა და ხელები დაიკაპიწა, ქურა დაშალა, ნამდვილი ოსტატივით ყველაფერი შეამოწმა და მომჭერები ცალ-ცალკე დაამაგრა. მერე საიზოლაციო ლენტი მთხოვა. პირველად მესმოდა; არა გვაქვს-მეთქი, თავი გავუქნიე. გურამმა თვალის დახამხამებაზე თავისი სახლიდან გადმოარბენინა და საქმე განაგრძო. მეც ახლოს ვიჯექი, რომ დიდედას ეჭვი არ აეღო, ჩემ უცოდინრობაზე.

. . . დიდედამ მაწვნის შეჭამანდი შემოდგა, მაგრამ რა პირით უნდა მივირთვა?!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრთათეთრა



თინათინ ჯავახიშვილი

ნახატები ალ. ბანძელაძისა

იყო ერთი დედა ინდაური. ჰყავდა ცხრა შვილი, ცხრა ჭუკი. ბებია მაშო ჭუკებს საჭმელს აძლევდა. დედა ინდაური ასე უძახდა ხოლმე გაფანტულ შვილებს:

— კავ, კივ, კავ, კივ!

ეს ნიშნავდა: მოგროვდით ერთად და სადილს შეექეცითო.

ჭუკებიც მირბოდნენ ხოლმე, ტრიალებდნენ, ერთი-მეორეს ზურგზე ახტებოდნენ. ამ არეულობაში მხოლოდ ფრთათეთრა ვერ ასწრებდა ჭამას, ამიტომაც მუდამ მშიერი იყო.

დედა უსაყვედურებდა:

— ფრთათეთრა, ნუ ხარ მორცხვი!

ერთხელ ინდაურმა უთხრა შვილებს:

— შვილებო, გენაცვალეთ, თქვენი დაიკო ფრთათეთრა მუდამ მშიერი რჩება, ხელი შეუწყეთ, ცოდოა.

და-ძმამ გაუგონა დედიკოს, როდესაც ბებია მაშომ საჭმელი მიართვა, მათ ფრთათეთრა შუაში ჩაიყენეს და საჭმელთან ერთად მივიდნენ.

ფრთათეთრა დაუმეგობრდა და-ძმას და მუდამ მათი მადლიერი იყო.

## წინდები

ნელი გაბრიჩიძე

ჩემო კარგო მურიკელა,
მოგიქსოვე წინდები,
სურდო აღარ შეგეყრება,
აღარ გამიცივდები.
თეთრმა ცხვარმა მატყლი მომცა,
თითისტარი ბებიამ,
დავჩეჩე და მოგიქსოვე,
სულ არ დამზარებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მზარეულები

ეთერ ჯღამაძე

ცირამ დაჭრა კარტოფილი,
დაუცრია კატოს ფქვილი,
გიას მოაქვს წყალი,
მზია რეცხავს მწვანილს.

პურები და რა პურები!
პლასტილინის, სულ ახლები,
ფქვილად სილა, მწვანილად კი
დაარჩიეს ბალახები.

შვენით ციცქნა მზარეულებს
თოვლისფერი წინსაფრები.
ფუსფუსებენ,—მზად არისო
კერძი—სტუმრის მისართმევი.



# ალათასა—მალათასა

ნოდარ შამანაძე

ალათასა-მალათასა,
ბებია წნავს კალათასა,
ლამაზ ფერებს ავლებს ხაზად.
წკნელს აწოდებს მარდად ზაზა.

შემოვიდა შემოდგომა
რა მდიდრულად, რა ლამაზად.
დაამწიფა ვაშლიც, მსხალიც
და სიმინდი დაბაზა.

გაიქცევა მარდად ზაზა
და წაილებს კალათასა,
ვაშლებს დაკრეფს, ატმებს დაკრეფს
ვენახს შაქარმტევნიანსა,
თვითონაც ხომ გაიხარებს,
გაახარებს ბებიასაც.



ინგილოური ზღაპარი

# ეშმაკი მელა

ერთ ულრან ტყეში ცხოვრობდა ძალზე ეშმაკი მელა.

ერთხელ ისეთი დიდი ზამთარი დადგა, რომ მთელ ტურებს და მელებს ძალზე გაუჭირდათ საჭმლის შოვნა.

დიდი თოვლი იდო, მაგრამ ჩვენი ეშმაკი მელა სულაც არ დაბნეულა. გამოთალა ერთი დიდი ჯოხი, მხარზე გაიდო და სოფლისაკენ გასწია.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, სალამო ხანს, ერთ სოფელში გლეხის ჭიშკარს მიადგა, დააკაკუნა და უთხრა:



—კეთილი მგზავრი ვარ, თქვენს სოფელში შემოშალამდა, ამალამ თქვენთან შემინახეთ!

გლეხმა უპასუხა:

— შენ როგორმე მოგინახავ ადგილს, მაგრამ ჯოხის ადგილი რომ არა მაქვს!

მელიამ წამოიძახა:

— არა უშავს, ოღონდ მე მომინახე ადგილი, ჯოხს როგორმე კარებთან მოვათავსებ.

გლეხმა მელია შინ შეიყვანა. ბუხართან ლოგინი გაუშალა. მელიამ ჯოხი კარებთან მიაყუდა, თვითონ კი ლოგინში ჩაწვა. განთიადისას მელა მასპინძელზე ადრე ადგა, თავისი ჯოხი ბუხარში ჩუმად შეუკეთა და ისევ ლოგინში ჩაწვა.

დილით ყველა წამოდგა სუფრა გაშალეს, მელიაც მიიპატიჟეს. მელიამ წასვლის წინ თავისი ჯოხი მოიკითხა. მასპინძელმა ძალიან ბევრი ეძება,მაგრამ ვერსად იპოვა. მელიამ უთხრა:

— ან ჩემი ჯოხი მომეცით, ან ერთი ქათამი! შეწუხებული მასპინძელი იძულებული გახდა დაეჭირა ერთი დიდი ქათამი და მიეცა.

მელამ ქათამი ზურგზე მოიკიდა და გზა განაგრძო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს სოფელში შემოალამდა. აქაც ერთ ჭიშკარს მიადგა და დააკაკუნა.

— გამარჯობა, კეთილო მასპინძელო, საწყალი მგზავრი ვარ, თქვენს სოფელში შემომალამდა, მადლია, ლამე გამათევვინეთ.

— შენ დიდი სიამოვნებით მიგილებ, მაგრამ ქათმისათვის ადგილი რომ არა მაქვს!—მიუგო გლეხმა.

— ოღონდ ჩემთვის იყოს ადგილი და ქათამსაც ჩემთან ახლოს მოვიწვენო.—უპასუხა მელამ.

გლეხმა შეიყვანა სტუმარი და დაწვნენ.

მელიამ ყველაზე ადრე გაიღვიძა, ჩუმად ადგა, ქათამი შეჭამა და ისევ ჩაწვა ლოგინში.

გათენდა. სუფრა გაშალეს. მელიაც მიიწვიეს საუზმეზე.

წასვლის წინ მელიამ იკითხა:

— სად არის ჩემი ქათამი? ან ჩემი ქათამი მომეცით, ან ერთი ინდაური!

შეწუხებულმა მასპინძელმა ბევრი ეძება ქათამი, მაგრამ ვერსად ნახა. იძულებული გახდა ინდაური დაეჭირა და მიეცა.



მელიას ულვაშებში ჩაეცინა,—ქათამში ინდაურს მაძლევსო, ზურგზე მოიკიდა ინდაური და გზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა, ბოლოს ერთ სოფელში შემოალამდა. აქაც გლეხის ჭიშკარზე დააკაკუნა და უთხრა:

—გამარჯობა, მასპინძელო, საწყალი მგზავრი ვარ, თქვენს სოფელში შემომალამდა, მადლია, ერთი ლამე გამათევვინეთ.

გლეხმა იფიქრა, იფიქრა და ბოლოს უთხრა:

— შენ ლამეს გაგათევვინებ, მაგრამ ინდაურისათვის ადგილი რომ არა მაქვს?!

— ოღონდ ჩემთვის იყოს ადგილი და ინდაურს როგორმე ბუხრის პირას დავსვამ!—მიუგო მელამ.

გლეხმა მელია შეიყვანა დასაძინებლად. მელიამ ინდაური ბუხრის პირას მოათავსა, თვითონ ლოგინში ჩაწვა და დაიძინა.

ეშმაკმა მელიამ აქაც ადრე გაიღვიძა. ჩუმად ადგა, ინდაური ბუხრის პირას გემრიელად შესანსლა, ბუმბული ბუხარში შეყარა და ისევ ჩაწვა ლოგინში.

გათენდა. ყველა წამოდგა და სუფრა გაშალეს. ჩვენი მელიაც მიიპატიჟეს სუფრასთან.

წასვლის წინ მელიამ თავისი ინდაური მოიკითხა. მასპინძელმა ძალიან ბევრი ეძება, მაგრამ ვერსად ნახა. რაც აღარ იყო, რას იპოვიდა!

ეშმაკმა მელიამ გაბრაზებით თქვა:

— ან ჩემი ინდაური მომეცი, ან ერთი ცხვარიო!

საწყალი გლეხი ძალიან შეწუხდა. ინდაურის მაგიერ ერკემალი დაიჭირა და მისცა.

გახარებულმა მელიამ მკლავზე გამოიბა ერკემალი და წინ გაუძღვა.

გამოქანდა ერკემალი, ერთი ლაზათიანად ამოჰკრა და ამოჰკრა რქები. ისეთი დღე დააწია მელიას, კინალამ სული გააფრთხობინა.

ამბობენ, ის მელია, ერკემლის შიშით, დღესაც სოფელს აღარ ეკარებაო!

ჩაიწერა და დაამუშავა
მოსე როსტიაშვილმა
ნახატები შ. ცხადაძისა





ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ ისწავლა გოჭმა ლაპარაკი

ლ. პანჯელეევი

ერთ გოგონას ძალიან ჭკვიანი და გამგონე გოჭი ჰყავდა. გოჭმა, რა თქმა უნდა, ლაპარაკი არ იცოდა. გოგონას სურდა გოჭისათვის ლაპარაკი ესწავლებინა:

— გოჭუნი, აბა, თქვი: "დედა."

— ღრუ-ღრუტ! — დაიღრუტუნა გოჭმა.

— გოჭუნი, აბა, თქვი: "მამა".

— ღრუტ-ღრუტ!

— გოჭო, ხე მაინც თქვი,— შეეხვეწა გოგონა.

— ღრუტ-ღრუტ!

— იცი, რა, ჩემო, კარგო,—ვუთხარი გოგონას,—სჯობია რაიმე ადვილი ათქმევინო, თორემ ეს ჯერ იმდენად პატარაა, რომ ასეთ სიტყვებს ვერ იტყვის.

— მაინც, რა ვათქმევინო?

— მაგალითად „ღრუტ-ღრუტ!"

გოგონა ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე გოჭს მიუბრუნდა:

— გოჭო, გოჭუნი, აბა, თქვი: "ღრუტ-ღრუტ".

გოჭმა კვლავ დაიღრუტუნა:

— ღრუტ-ღრუტ!

გოგონა ჯერ გაოცდა, მერე გამხიარულდა, ხელი ხელს შემოჰკრა და წამოიძახა:

— აი, ხომ ვასწავლე გოჭს ლაპარაკი!

თარგმნი გ. ბათიაშვილისა



გივი ძნელაძე

## მეთევზეები

ორივენი დაჭერილ თევზს
ერთ ქილაში ჰყრიან,
ბოლოს ტოლად გაიყოფენ,
ძმობაც ამას ჰქვია.



ნახატები ზ. ფორჩხიძისა

## ცივი წყალი

აბა, ერთი, შენებურად
წაცუნცულდი, გოგიტა;
ცივი წყალი მოგვიტანე—
შენი ჭრელი კოკითა.

## მშიშარა ქორი

ქორმა ჩამოუქროლა
წიწილების საბუდარს,
ჩემს ხმალს თვალი რომ მოჰკრა,—
შეშინდა და... გაბრუნდა!

## გასართობი

შეადგინა ქ. ქუთაისის II საშ. სკ. III კლ. მოსწავლემ ეთერ ივანიძემ

კალ-
სან-
სა-
ხალ-
კაკან-

10





შეადგინა ქ. თბილისის 55-ე სკოლის IV კლ. მოსწავლემ დავით ზოდელავამ

ხ 36/309

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი ზურაბ გოგოლაძისა

ИНДЕКС 76055

# ყიყლიყო

ანზორ აბულაშვილი

მზემ მოუყვითალომ—
ნოემბრის
ნისლიდან გამოანათა.
მთა დაამშვენა
მაღალი
მზით დაფერილმა
ხალათმა.
მზემ ისე აჴლოს
დაჰხედა
სოფელს, ეზოს და
გზაშარას,—
ზემოთ მესერზე
მამალი
შეფრინდა,
ფრთები გაშალა,
ნისკარტი ცისკენ
შემართა,
რადგან მზე
მკრთალი, დამცხრალი
მამალს ეგონა
სიმინდის
დიდი,
ყვითელი მარცვალი.



რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი, სარედაქციო კოლეგია: გ. გეგეჭკორი, ქ. გოგიაშვილი, ჯ. ლოლუა, მაყვ. მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ჯ. ნინუა, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), რ. ჭეიშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ყდაზე: „გოგონა ქარგავს“— ნახატი ჯ. ლოლუასი

ტექრედაქტორი გ. როინიშვილი

გამოცემის ოცდამეთექვსმეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

გამომცემლობა „ნაკადული“, გამომც. შეკვ. № 586, სტამბის შეკვ. № 1927, ტირაჟი 30000, ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/IX-1963 წ.

ჟურნალი დაბეჭდილია პოლიგრაფიულ კომბინატ «კომუნისტში», ლენინის ქ. № 14 „ДИЛА“ на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 91.

რედაქციის მისამართი: თბილისი. პლეხანოვის პროსპ. № 91, ტელ. 5-37-38.

ფასი 20 კაპ.